საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia

MOH 7 22 00226021 18/08/2022

მოქალაქე მირანდა თეთრაძეს

ქალბატონო მირანდა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა მიმდინარე წლის 05 აგვისტოს თქვენი N186503 განცხადება,რომელიც ეხება ბავშვთა თავშესაფრებისა და საოჯახო ტიპის სახლების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დანართის სახით (დანართი: „მცირე საოჯახო ტიპის სახლები“) წარმოგიდგენთ ინფორმაციას სამინისტროში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტირებულ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების რაოდენობის შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ 2021 წელს განხორციელდა სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული - კოჯრის შშმ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაცია და შეიქმნა ორი ახალი მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის სახლი (ჩხოროწყუ და თელავი).

ამჟამად საქართველოში ფუქნციონირებს 6 თავშესაფარი (რუსთავი-1, თბილისი-4, ქუთაისი-1), რომელიც უზრუნველყოფს მიუსაფარ ბავშვთა 24 საათიან მომსახურებას.

აქვე, დანართის სახით (დანართი: “ობოლი ბავშვების სტატისტიკა_2012-2022 წლებში“) გიგზავნით სტატისტიკურ ინფორმაციას 2012-2022 წლებში მარჩენალის გარდაცვალების გამო სახელმწიფო გასაცემლის მიმღები, 18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვების თაობაზე, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით.

ასევე გაცნობებთ, რომ 2012-2021 წლების მონაცემები ასახავს თითოეული საანგარიშო პერიოდის დეკემბრის თვის მდგომარეობას, ხოლო, 2022 წლის ინფორმაცია ივლისის თვის მიხედვითაა.

რაც შეეხება, სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების რაოდენობას, დანართის სახით (დანართი: „მზრუნველობამოკლებული ბავშვები“) გეგზავნებათ მოთხოვნილი ინფორმაცია 2020-2022 წლების მდგომარეობით, რაც შეეხება 2020 წლამდე პერიოდს, პასუხი გეცნობებათ დამატებით.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების
სამმართველოს უფროსი
ანა დარახველიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად